

ხანდაზმულებზე ზრუნვა საქართველოში - ქვეყანასა და დედაქალაქში

კვლევის ანგარიში



თბილისი, 2019 წელი

წინამდებარე კვლევა ჩატარდა ფარგლებში პროექტისა: „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა ხანდაზმულებისთვის საქართველოში - არსებული სერვისები და ძირითადი საჭიროებები“.

პროექტის განმახორციელებელია „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრი“, ხოლო დონორი „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი“.

ავტორი: უჩა ვახანია, „საქართველოს ზრუნვის პლატფორმის“ თავმჯდომარე
+995 595 55 16 16, ucha.vakhanian@gmail.com

შესავალი

საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად დაბერებადი ქვეყანაა. მოსახლეობაში ხანდაზმულთა წილის ზრდასთან ერთად, ბოლო ათწლეულებში გამოიკვეთა ისეთი ტენდენციები, როგორიცაა ახალგაზრდების ემიგრაცია, მრავალთაობიანი ოჯახების რღვევა, ქალების მზარდი დასაქმება, სიღარიბე. აღნიშნული ფაქტორები ხანდაზმულებს და მთელ საზოგადოებას მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე აყენებს.

2017 წლის ნოემბერში, გაჭიანურებული პროცესის შემდეგ, მიღებული იქნა დაბერების სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისათვის. დარჩენილი ერთი წლის განმავლობაში, ორწლიანი გეგმა არსებითად არ შესრულებულა, რასაც ცხადყოფს გეგმის შესრულების ანგარიში - ღონისძიებების ჩამონათვალი ჰგავს წარუმატებელი პროექტის ანგარიშს, როდესაც პასუხისმგებელი პირი/ორგანიზაცია ცდილობს, შეაკონწიწოს შედეგი, რომელიც რეალურად არ არსებობს. ხოლო ის ღონისძიებები, რაც განხორციელდა (მაგ. საპენსიო რეფორმა), არსებობდა დამოუკიდებელი გეგმების სახით და უბრალოდ დაემთხვა დაბერების გეგმის რომელიმე პუნქტს.

დაბერება საქართველოში - ეს ის პროცესია, რომელიც საზოგადოებისგან სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. წინამდებარე პროექტი და მის ფარგლებში ჩატარებული კვლევა სწორედ აღნიშნული პროცესის ნაწილად უნდა იქცეს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოს სახელმწიფო პროგრამების და თბილისის მუნიციპალური პროგრამების შეფასება ხანდაზმულთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის თვალსაზრისით, ნაკლოვანებების გამოვლენა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

მეთოდოლოგია

მოძიებული იქნა და გაანალიზდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო და თბილისის მუნიციპალური პროგრამები, გაგზავნილი იქნა კითხვარი თბილისის მერიაში, ასევე, ჩატარდა ინტერვიუ ოთხ პირთან:

ა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელი - ჯანდაცვის პროგრამებთან დაკავშირებით;

ბ. დამოუკიდებელი ექსპერტი სოციალურ მომსახურებაში, წარსულში იმავე სამინისტროს თანამშრომელი - სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით;

გ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის თანამშრომელი - ჯანდაცვის პროგრამებთან დაკავშირებით;

დ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის თანამშრომელი - სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით.

რაკი საქართველოს კანონმდებლობა ხანდაზმულობას არ განსაზღვრავს, ხოლო სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ხანდაზმულობა გაიგივებულია საპენსიო ასაკთან,

წინამდებარე დოკუმენტიც უყრდნობა აღნიშნულ პრაქტიკას და ხანდაზმულად აღიარებს ქალს 60 წლიდან, ხოლო მამაკაცს - 65 წლიდან.

ტექსტში თითქმის სრულად არის ჩამოთვლილი სახელმწიფო და დედაქალაქის მერიის პროგრამები. აქცენტი გაკეთებულია მათზე, რომლებიც განკუთვნილია (მ. შ.) ხანდაზმულთათვის ან ხელმისაწვდომია ხანდაზმულთათვისაც.

სახელმწიფო სოციალური პროგრამებიდან ცალკე გამოყოფილია სახელმწიფო გასაცემელები.

ტექსტს მოსდევს ცხრილები, რომლებიც სქემატურად აჩვენებენ ამა თუ იმ უწყების სხვადასხვა სექტორის პროგრამების ხელმისაწვდომობას ხანდაზმულთათვის.

კვლევამ გვერდი აუარა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ანალიზს თემის მასშტაბურობის და სირთულის გამო.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან ყველაზე მასშტაბურია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შემოკლებული სახელწოდებით მოიხსენიება, როგორც საყოველთაო ჯანდაცვა. მისი მოქმედება დაიწყო 2013 წლის 28 თებერვალს და ეტაპობრივად განიცადა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. მისი ძირითადი მიზანია ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამა გულისხმობს საქართველოს მოქალაქეებისთვის გადაუდებელ და გეგმიურ ამბულატორიულ, ასევე, გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარულ მომსახურებას, შესაბამისი პაკეტის ფარგლებში, გარკვეული ლიმიტის შესაბამისად. აღნიშნულ პროგრამაში ინტეგრირდა „ინფექციური დაავადებების მართვის“ სახელმწიფო პროგრამა, გარკვეული ნოზოლოგიებით, შესაბამისი ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში.

ხანდაზმულთათვის - საპენსიო ასაკის პირებისთვის გათვალისწინებულია შეღავათები, რომელთა აღწერა წინამდებარე კვლევის მიზანს სცილდება.

2015 წლის 21 აპრილიდან მოქმედებს C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს სკრინინგული კვლევის კომპონენტს, დიაგნოსტიკის კომპონენტს, მკურნალობის კომპონენტს, ფარმაცევტული პროდუქტის ლოჯისტიკის კომპონენტს, პილოტურ პროექტს - „HCV ინფექციაზე სკრინინგისა და გამარტივებული მიდგომებით მკურნალობის სერვისების ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ და მეორე პილოტურ პროექტს - „მკურნალობამდე დიაგნოსტიკური კვლევებისა და მკურნალობის დროს მონიტორინგის პროცესის გამარტივება C ჰეპატიტის ვირუსის ელიმინაციის პროექტში“.

ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

ე. წ. „ვერტიკალური პროგრამები“ (საქართველოს მთავრობის # 693 დადგენილების მიხედვით):

1. **დაავადებათა აღრეული გამოვლენა და სკრინინგი** - ხელმისაწვდომია ხანდაზმულთა მცირე ასაკობრივი ჯგუფისთვის.

პროგრამის კომპონენტებია: კიბოს სკრინინგი, საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგის პილოტი, 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა, დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი.

ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა გარკვეული შეზღუდვებით: ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისის გარეთ მცხოვრებთათვის - ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ქალებში (ანუ მხოლოდ 60-70 წ.წ.), საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი მიუწვდომელია (25-60 წ.წ.) და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი – 50-დან 70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის (ანუ 60-70 წ.წ. ქალი და 65-70 წ.წ. მამაკაცი).

2. **იმუნოზაცია** - ხანდაზმულებს შეუძლიათ პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა, სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა, აცრა-ვიზიტისა და ექიმის კონსულტაციის მომსახურება.

3. **ეპიდზედამხედველობა** - პროგრამა მეტწილად ტექნიკური ხასიათისაა.
4. **უსაფრთხო სისხლი** - პროგრამა ნაკლებად არის დაკავშირებული ხანდაზმულებთან.
5. **პროფესიულ დაავადებათა პრევენცია** - პროგრამა ნაკლებად არის დაკავშირებული ხანდაზმულებთან.

6. **ტუბერკულოზის მართვა** - ხანდაზმულებს შეუძლიათ პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბსაწინააღმდეგო ამბულატორიული ღონისძიებების დაფინანსება), ლაბორატორიული კონტროლი და ნახველის ლოჯისტიკა და ამბულატორიული მეთვალყურეობა, სტაციონარული მომსახურება, პენიტენციური დაწესებულებებისათვის ტუბერკულოზის მართვისთვის მედიკამენტების, სხვა სახარჯი და დამხმარე მასალების შესყიდვა, ტუბერკულოზის პროგრამის რეგიონალური მართვა და მონიტორინგი, ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა, სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, ფულადი წახალისების საშემოსავლო გადასახადი და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა ფულადი წახალისების დაფინანსება.

7. **აივ ინფექცია/შიდსის მართვა** - ხანდაზმულებს შეუძლიათ პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება, მ. შ. აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული კვლევისათვის საჭირო ტესტისტიმების და სახარჯი მასალების შესყიდვა, აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა, აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა, აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი და მეორე რიგის მედიკამენტების შესყიდვა, სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში.

8. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა** - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.
9. **ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა** - ხანდაზმულებს შეუძლიათ პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქვევითი აშლილობების დროს, ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში, ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა, ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა, №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფა, ეფექტურობის შეფასების კომპონენტი, ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქვევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება.

10. **ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა** - პროგრამა მეტწილად ტექნიკური ხასიათისაა.

11. **ფსიქიკური ჯანმრთელობა** - ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა გარკვეული შეზღუდვებით. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება; ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი.

12. **ღიაბეტის მართვა** - ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა გარკვეული შეზღუდვებით. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: შაქრიანი ღიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება, სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება, შაქრიანი და უშაქრო ღიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, შაქრიანი ღიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, უშაქრო ღიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

13. **ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება** - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.

14. **ღიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია** - ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა, პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა, ჰემო- და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება, თირკმლის

ტრანსპლანტაცია, ორგანოგადანერგვითა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა.

15. **ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა** - პროგრამა ცალკე სამიზნე ჯგუფად გამოყოფს ხანდაზმულებს (იხ. ქვევით).

პროგრამის კომპონენტებია: ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა, ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა, ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

მუხლი 4

ბ) პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების ერთეულია საწოლდღე. საწოლდღის მაქსიმალური ღირებულებაა 75 ლარი და პროგრამით იფარება:

ბ.ბ) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის – მომსახურების ფაქტობრივი ხარჯის 80%, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 20%-ს, ხოლო საპენსიო ასაკის პირებისთვის პროგრამით იფარება მომსახურების ფაქტობრივი ხარჯის 90%. მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 10%-ს - მუხლი 4, პუნქტი „ბ“.

გ) პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების (ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა) ფარგლებში თანაგადახდას არ ექვემდებარება ამავე პროგრამით გაწეული მომსახურება:

გ.ა) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის:

გ.ა.ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის;

გ.ა.ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლებიდან:

გ.ა.ბ.ა) 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის მოსარგებლებისა და შშმ ბავშვებისათვის;

გ.ა.ბ.ბ) ასაკით პენსიონერი ვეტერანებისა და მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანებისათვის.

გ.ბ) შიდსით დაავადებული პირებისათვის.

16. **იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა** - ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა გარკვეული შეზღუდვებით. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით

მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება, ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება, ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ფენილკეტონურიით დაავადებულთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა, მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზრდის ჰორმონით უზრუნველყოფა, იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფა, დიდი თალასემიით დაავადებულთათვის რკინის შემბოჭავი პრეპარატებით უზრუნველყოფა, სპეციალური სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

17. **სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება** - ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: სასწრაფო სამედიცინო დახმარება (მ. შ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასწრაფო სამედიცინო დახმარება), რეფერალური დახმარება, სამედიცინო ტრანსპორტირება.

18. **სოფლის ექიმი** - ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამის კომპონენტებია: პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა), სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება, შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება, სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

19. **რეფერალური მომსახურება** - ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარებას, მათ შორის: ა.ა) გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პირების კარდიოქირურგიულ მკურნალობას, თუ ეს ხარჯები არ იფარება სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით; ა.ბ) პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, რომელთა ხარჯებიც არ იფარება სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით; ა.გ)

ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით (ტრასტუზუმაბი) ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფას; ა.დ) ფილტვების იდიოპათური ფიბროზის დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით (პირფენიდონი) ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფას; ა.ე) პროგრამა „საზაფხულო სკოლებით“ („დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“) განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, რომელთა ხარჯებიც არ იფარება სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით; ა.ვ) სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა პოსტკოიტალური კონტრაცეფციით/სგგდ ტესტირებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა. ბ) ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევას.

20. **სამხედრო ძალებში გასაწევრ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება** - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.

21. **ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა** - პროგრამა ცალკე სამიზნე ჯგუფად გამოყოფს ხანდაზმულებს (იხ. ქვევით).

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის, დიაბეტის (ტიპი 2) ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას და ლოგისტიკის კომპონენტს – ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა პროგრამის მოსარგებლებზე. (მედიკამენტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით).

მუხლი 4

პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლებისათვის (მ. შ. საპენსიო ასაკის პირები) გათვალისწინებულია მომსახურების ღირებულების გადახდა მედიკამენტ(ებ)ის თითოეული გატანისას გატანილი მედიკამენტ(ებ)ის ღირებულების 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 0,05 ლარისა (5 თეთრი) და არაუმეტეს 1 (ერთი) ლარისა. (18.07.2019 N341).

სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები (საქართველოს მთავრობის #684 დადგენილების მიხედვით)

1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.
2. ბავშვთა აღრული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.
3. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.
4. ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა - პროგრამა ცალკე სამიზნე ჯგუფად გამოყოფს ომის მონაწილე ხანდაზმულებს.
ქვეპროგრამის ამოცანაა სამიზნე ჯგუფის პირთა სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო მომსახურებების გაწევა. ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:
 - ა) ექიმ-სპეციალისტ(ებ)თან კონსულტაცია;
 - ბ) ფიზიოთერაპიული და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების ჩატარება;
 - გ) ბალნეოლოგიური პროცედურების ჩატარება;
 - დ) სამკურნალო ფიზკულტურისა და მანუალური თერაპიის პროცედურების ჩატარება.
5. დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა - ხანდაზმულებს შეუძლიათ აღნიშნული პროგრამით სარგებლობა. ცალკე მიზნობრივ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან.
ქვეპროგრამის ამოცანაა სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა, მიტოვების პრევენცია და სოციალური ინკლუზია. ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:
 - ა) ყოველდღიური (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში მომსახურება ერთჯერადი კვებით. ამასთან, ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები;
 - ბ) საჭიროებების (შემეცნებითი, ემოციური და ფიზიკური) გამოვლენა და მათი დაკმაყოფილება;
 - გ) საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
 - დ) კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა;
 - ე) დროის სწორი ორგანიზების, ეფექტიანი კომუნიკაციის, არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარების უნარ-ჩვევების სწავლება;

ვ) საჭიროების შემთხვევაში – პირველადი გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება.

ზ) დღის ცენტრის ფუნქციონირების პროგრამის (კურიკულუმის) წარმოება;

თ) ექვსთვიანი ინდივიდუალური რეაბილიტაცია/აბილიტაციის გეგმის შედგენა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომლის შედგენაში ჩართულნი არიან: პედაგოგი ან/და ფსიქოლოგი ან/და ოკუპაციური თერაპევტი, დამხმარე ასისტენტი და ბენეფიციარი;

ი) დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებისა და სოციალური ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობა;

კ) ფუნქციური, აკადემიური უნარების განვითარება;

ლ) საგანმანათლებლო, განმავითარებელი აქტივობების ხელშეწყობა;

მ) ფიზიკური გარემოს ადაპტირება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა (მათ შორის ადაპტური ავეჯი/ნივთები);

ნ) ცენტრში მიყვანისა და შინ დაბრუნების ორგანიზება.

ო) დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა.

6. დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის ამოცანაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან) ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. პროგრამა მოიცავს შემდეგს:

- 6.1. სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი;
- 6.2. საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- 6.3. სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- 6.4. ყრუ და სმენისარმქონე შშმ პირთა ვიდეო კონფერენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური საშუალებით (სმარტფონი) უზრუნველყოფის კომპონენტი;
- 6.5. კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- 6.6. ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

7. **ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა** - ხანდაზმულებს შეუძლიათ ისარგებლონ პროგრამით. ამოცანა: სამიზნე ჯგუფის სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ღონისძიებები მოიცავს საქართველოს (ქ. თბილისის გარდა) მინიმუმ რვა რეგიონში 10 სურდოთარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფას (თითოეულ ამ რეგიონში მინიმუმ ერთი სურდოთარჯიმანი).

8. **დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა** - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.

9. **მინდობით აღზრდა** - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.
10. **მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფა** - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.
11. **მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა** - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.
12. **სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფა** - ერთ-ერთ კომპონენტში ხანდაზმულები გამოყოფილა ცალკე მიზნობრივ ჯგუფად:

- 12.1. ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- 12.2. შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

ქვეპროგრამის ამოცანაა სამიზნე ჯგუფისათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და სოციალური ინტეგრაცია. მოიცავს შემდეგს:

1. ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურება:

- ა) საცხოვრებლით, ყოველდღიური მომსახურებითა და სამჯერადი კვებით უზრუნველყოფას, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი;
- ბ) საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზებას;
- გ) დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით, ბენეფიციარებისათვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შედგენას და განხორციელებას;
- დ) პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას (ბენეფიციარების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სურვილის გათვალისწინებით – ხელობის შერჩევას, სწავლებას და პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობას);
- ე) ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას;
- ვ) საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას.

2. შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის შემთხვევაში ღონისძიებები მოიცავს:

- ა) არაუმეტეს 6 ბენეფიციარზე გათვლილი ოჯახური ტიპის საცხოვრებლით უზრუნველყოფას;
- ბ) მომსახურების პიროვნებაზე ორიენტირებული (პერსონა – ცენტრული) გეგმის შედგენას და ამ გეგმის შესაბამისად ბენეფიციართა მაქსიმალური ფუნქციური დამოუკიდებლობის ხელშემწყობი მომსახურებებით უზრუნველყოფას;

გ) ბენეფიციართა სურვილის გათვალისწინებით სრულფასოვანი კვებით ან საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას, რაც შესაძლებელია ხორციელდებოდეს თავად ბენეფიციართა მიერ;

დ) საჭიროებისამებრ, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზებას;

ე) საყოფაცხოვრებო (მ. შ. თვითმოვლის) უნარ-ჩვევების განვითარება-სწავლება და მხარდაჭერა საჭიროებისამებრ;

ვ) წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელშეწყობას (ბენეფიციარების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და სურვილის გათვალისწინებით ხელობის შერჩევა, სწავლების და პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა);

ზ) ბენეფიციართა მომსახურებისგან დამოუკიდებლად ცხოვრების მხარდაჭერისთვის დასაქმებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას მათი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით;

თ) ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას;

ი) საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობი სხვადასხვა კულტურული, სპორტული, რეკრეაციული ღონისძიებების განხორციელებას.

13. განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფა - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება.

14. მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება - პროგრამა ხანდაზმულებს არ ეხება

სახელმწიფო გასაცემლები

1. **სახელმწიფო პენსია** - ენიშნება 60 წლის ქალს და 65 წლის მამაკაცს, თვეში 200 ლარის ოდენობით.

2. **სახელმწიფო კომპენსაცია** - განაცემის მოსარგებლე შეიძლება იყოს ხანდაზმული პირი.

ინიშნება ზოგიერთ უწყებაში ნამსახურობის შემდეგ (იხ. ქვევით), 65 წლის მიღწევის, მუშაობის ვადის ამოწურვის, შშმ სტატუსის დადგენისას, ან ენიშნება ოჯახის წევრებს მარჩენალის გარდაცვალების გამო.

ყოფილი განერალური აუდიტორისათვის და განერალური აუდიტორის მონადგომისათვის	პარლამენტის ყოფილი წევრებისათვის
პარლამენტის აპარატის ყოფილი მოხელეებისათვის	პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი მუშაკებისათვის
სამართო სასამართლოების ყოფილი მოსამართლეებისათვის	სამოქალაქო ავიაციის ყოფილი მოსამსახურეებისათვის
საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრებისათვის	უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეებისათვის
კომპენსაციის დანიშვნა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში	პირებისათვის რომელთაც წარსულში უმაღლესი დიპლომატიური რანგი ზაჩნდათ
ყოფილი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებისათვის	პირებისათვის, რომლებსაც ეკავათ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობები

3. **საყოფაცხოვრებო სუბსიდია** - მიმღები შეიძლება იყოს ხანდაზმული. ეს არის ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი, რომელიც სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად არის განკუთვნილი. ენიშნებათ სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებს, ყოველთვიურად შემდეგი ოდენობით:

- 3.1. მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მიღებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს - 44 ლარის ოდენობით,
- 3.2. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს - 44 ლარის ოდენობით,
- 3.3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს, ასაკის მიუხედავად, აგრეთვე მეუღლეს, რომელიც შემდეგ ადარ დაქორწინებულა და შრომისუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) - 44 ლარის ოდენობით,
- 3.4. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს - 22 ლარის ოდენობით,
- 3.5. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს - 22 ლარის ოდენობით,
- 3.6. მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში დაღუპული (უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი), აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში დაღუპული

(უგზო-უკვლოდ დაკარგული, გარდაცვლილი) მეომრების ოჯახების შვილებს 18 წლის ასაკამდე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებს ასაკის მიუხედავად, მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა და შრომისუუნარო მშობლებს (თითოეულ ოჯახს) - 22 ლარის ოდენობით,

- 3.7. სამხედრო ძალების ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას - 22 ლარის ოდენობით,
- 3.8. ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციისას დაინვალიდებულ პირებს - 7 ლარის ოდენობით,
- 3.9. ჩერნობილში ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს - 7 ლარის ოდენობით,
- 3.10. ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად მარჩენლის დაკარგვისათვის პენსიის მიმღებ ოჯახებს - 7 ლარის ოდენობით,
- 3.11. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრებს - 7 ლარის ოდენობით,
- 3.12. ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს - 44 ლარის ოდენობით,
- 3.13. ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულთა შრომისუუნარო მშობლებს, შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც შემდეგ აღარ დაქორწინებულა, არასრულწლოვან შვილს ან/და ნაშვილებს - 44 ლარის ოდენობით,
- 3.14. ქ. თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს - 22 ლარის ოდენობით

4. **ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)** - გაიცემა ოჯახის წევრებზე. შემადგენლობის მიხედვით, ხანდაზმულებს შეუძლიათ ისარგებლონ შემწეობით. ითვალისწინებს მოქმედი მეთოდოლოგიით შეფასებული ოჯახის თითოეულ წევრზე თვეში შემდეგი თანხის გაცემას:

- 4.1. < 30 001 - 60 ლარი;
- 4.2. 30 001 - 57 000 – 50 ლარი;
- 4.3. 57 001 - 60 000 - 40 ლარი;
- 4.4. 60 001 - 65 000 - 30 ლარი;

100 001 ქულის მქონე ოჯახი მიიღებს 50 ლარს ყოველ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

5. **სოციალური პაკეტი**

- 5.1. **სოციალური პაკეტი მარჩენალდაკარგული პირებისთვის** - ხანდაზმული ვერ იქნება მოსარგებლე; გარდაცვალების მიზეზის მიუხედავად, ენიშნება შვილს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

- 5.2. სოციალური პაკეტი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის - შეიძლება იყოს ხანდაზმული. შეადგენს 107 ლარს თვეში. შეიძლება გაიზარდოს 122 ლარამდე, თუ პაკეტის მიმღები ამავდროულად არის სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილე.
- 5.3. სოციალური პაკეტი სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირებისთვის - მოსარგებლე მეტწილად არის ხანდაზმული. ენიშნება შემდეგ პირებს:
- 5.3.1. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 3 შვილი - 344 ლარის ოდენობით;
- 5.3.2. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 2 შვილი - 244 ლარის ოდენობით;
- 5.3.3. მარტოხელა, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შრომისუუნარო მშობელს - 144 ლარის ოდენობით;
- 5.3.4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 44 ლარის ოდენობით;
- 5.3.5. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის შრომისუუნარო მშობელს, შრომისუუნარო მეუღლეს, შრომისუუნარო შვილს - 44 ლარის ოდენობით;
- 5.3.6. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს - 22 ლარის ოდენობით;
- 5.3.7. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრების,

შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის შრომისუნარო მშობელს, შრომისუნარო მეუღლეს, შრომისუნარო შვილს - 22 ლარის ოდენობით;

5.3.8. სამხედრო ძალების ვეტერანებს საპენსიო ასაკის მიღწევისას - 22 ლარის ოდენობით;

5.3.9. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში შრომისუნარო მშობელს, შრომისუნარო მეუღლეს, შრომისუნარო შვილს - 7 ლარის ოდენობით.

5.4. სოციალური პაკეტი შშმ პირებისთვის - ამ შემთხვევაშიც, მოსარგებლეთა დიდი ნაწილი ხანდაზმულია.

➤ **მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს:**

5.4.1. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაედუპა 3 შვილი - 544 ლარის ოდენობით;

5.4.2. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაედუპა 2 შვილი - 444 ლარის ოდენობით;

5.4.3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი მეომრის მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მარტოხელა მშობელს - 344 ლარის ოდენობით;

5.4.4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 273 ლარის ოდენობით;

5.4.5. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით: უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს - 244 ლარის ოდენობით;

5.4.6. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 244 ლარის ოდენობით;

5.4.7. მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან/და

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს - 222 ლარის ოდენობით;

5.4.8. მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს - 222 ლარის ოდენობით;

5.4.9. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ, მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში - მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს - 207 ლარის ოდენობით;

5.4.10. მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს - 200 ლარის ოდენობით.

➤ **მნიშვნელოვნად გამოსატული მშმ პირებს:**

5.4.11. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 3 შვილი - 464 ლარის ოდენობით;

5.4.12. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ მშობელს, რომელსაც დაეღუპა 2 შვილი - 364 ლარის ოდენობით;

5.4.13. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილი მეომრის მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მარტოხელა მშობელს - 264 ლარის ოდენობით;

5.4.14. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 223 ლარის ოდენობით;

- 5.4.15. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 178 ლარის ოდენობით;
- 5.4.16. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს - 164 ლარის ოდენობით;
- 5.4.17. მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ან/და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს - 142 ლარის ოდენობით;
- 5.4.18. მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შემდეგი თანმიმდევრობით, უფროსი ასაკის მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს - 142 ლარის ოდენობით;
- 5.4.19. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხოლო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში - მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელს ან მეუღლეს ან 18 წელს ზემოთ ასაკის შვილს - 127 ლარის ოდენობით;
- 5.4.20. მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს - 120 ლარის ოდენობით.
- **ზომიერად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს:**
- 5.4.21. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 144 ლარის ოდენობით;
- 5.4.22. სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 134 ლარის ოდენობით;
- 5.4.23. ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი - 100 ლარი.

6. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება - ხანდაზმულებს არ ეხება.

თბილისის მერიის ჯანდაცვის პროგრამები

1. **დაავადებათა სკრინინგი** - ხანდაზმულთაგან ეხება 60-70 წლის ქალებს (1.1, 1.4, 1.5) და 65-70 წლის მამაკაცებს (1.3, 1.4). 2018 წელს ისარგებლა 12,155 ხანდაზმულმა. ითვალისწინებს შემდეგს:
 - 1.1. ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, რომელიც მოიცავს:
 - 1.1.1. მამოგრაფიულ გამოკვლევას, 2 პროექციაში (2 რადიოლოგის მიერ ერთმანეთის დამოუკიდებლად წაკითხვით) და ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვას;
 - 1.1.2. პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს ულტრაბგერით გამოკვლევას;
 - 1.1.3. საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას.
 - 1.2. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, რომელიც მოიცავს:
 - 1.2.1. გინეკოლოგის გასინჯვას და პაპ–ტესტის (PAP–ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით;
 - 1.2.2. პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, კოლპოსკოპიურ კვლევას;
 - 1.2.3. საჭიროების შემთხვევაში, კოლპოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ კვლევას.
 - 1.3. პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, რომელიც მოიცავს სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევას;
 - 1.4. კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისათვის, რომელიც მოიცავს:
 - 1.4.1. ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT) ჩატარებას;
 - 1.4.2. პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლონოსკოპიურ კვლევას;
 - 1.4.3. საჭიროების შემთხვევაში, კოლონოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ კვლევას.
 - 1.5. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით რისკის მქონე ქალებში, რომელიც მოიცავს:
 - 1.5.1. ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევას;
 - 1.5.2. პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას;
 - 1.5.3. საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას;
 - 1.5.4. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პროცესის მეთვალყურეობას ენდოკრინოლოგის მიერ
2. **გადამღებ და არაგადამღებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი** - მეტწილად ტექნიკური ხასიათისაა.

3. **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია** - ხანდაზმულებს არ ეხება.
4. **С ჰეპატიტის დიაგნოსტიკა** - ხანდაზმულებს შეუძლიათ ისარგებლონ პროგრამით, 70 ათას ქულამდე შეფასების შემთხვევაში. პროგრამა ითვალისწინებს „С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ბენეფიციარებისათვის, რომლებსაც ჩატარებული აქვთ კვლევა ანტიხეულების განსაზღვრის მიზნით მარტივი ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის (იფა) მეთოდით და მიღებული აქვთ დადებითი პასუხ, მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი და მკურნალობის პროცესის მონიტორინგის კვლევების თანადაფინანსებას, არაუმეტეს ამ წესის დადგენილი ტარიფების 30%-ით.
5. **ტრანსპლანტაცია** - 2018 წელს 13 ხანდაზმულმა ისარგებლა პროგრამით. მოიცავს შემდეგს:
- 5.1. ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირებისათვის, რომელთაც აქვთ მწვავე ლეიკემია, მწვავე ლიმფოიდური ლეიკემია, მწვავე მიელოიდური ლეიკემია, ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია, იუვენური მიელომონოციტარული ლეიკემია, არა-ჰოჯკინის ლიმფომა, ჰოჯკინის ლიმფომა, მიელოდისპლაზიური სინდრომი, აპლასტიური ანემია, ჰისტოციტოზი, თალასემი, მრავლობითი მიელომა (მიელომური ავადმყოფობა) ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება:
- 5.1.1. მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია.
- 5.1.2. ძვლის ტვინის (დეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები;
- 5.1.3. ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია). მათ შორის, პაციენტის კონდიციონირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა.
- 5.2. ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ღვიძლის ტრანსპლანტაცია.
6. **ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება** - 2018 წელს პროგრამით ისარგებლა 66 ხანდაზმულმა. მოიცავს შემდეგი მედიკამენტების დაფინანსებას/თანადაფინანსებას:
- 6.1. HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში - ტრასტუზუმაბი ან სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუნარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში ტრასტუზუმაბი+პერტუზუმაბის კომბინაცია. (ტრასტუზუმაბი+პერტუზუმაბის კომბინაციის შემთხვევაში ფინანსდება მაქსიმუმ 12 ინფუზია და მხოლოდ 2019 წლის 1 იანვრიდან პროგრამაში ჩართული პირებისათვის).
- 6.2. კონსილიუმის დასკვნის საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ტრასტუზუმაბი, ტრასტუზუმაბი + პერტუზუმაბი ან ლაპატინიბი.

7. **ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება** - 2018 წელს 9 ხანდაზმულმა ისარგებლა 7.2 კომპონენტით. პროგრამა მოიცავს შემდეგს:
- 7.1. მულტისისტემური ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში;
 - 7.2. აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა, რომელიც მოიცავს:
 - 7.2.1. მულტიდისციპლინური მობილური გუნდის მიერ მოსარგებლეთა შეფასებასა და ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას;
 - 7.2.2. რეგულარულ ვიზიტებს (არანაკლებ 6 ვიზიტი თვეში) საცხოვრებელ ადგილზე, 24 საათიან სატელეფონო კონსულტაციას;
 - 7.2.3. მოსარგებლეთა სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგს;
 - 7.2.4. მოსარგებლისა და ოჯახის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ფსიქოგანათლებას;
 - 7.2.5. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში პაციენტის სტაციონირების უზრუნველყოფას;
 - 7.2.6. 24 საათის განმავლობაში სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
 - 7.2.7. საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის წევრის - ექიმი-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

თბილისის მერიის სოციალური პროგრამები

1. **კომუნალური სუბსიდირება** - გაიცემა ოჯახზე. ხანდაზმულებს შეუძლიათ ისარგებლონ პროგრამით. ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის (<200,000) იანვარში, თებერვალში, მარტში, ნოემბერში და დეკემბერში დარიცხული ელექტროენერჯის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადის სუბსიდირებას ფაქტობრივი ხარჯისა და ოჯახის სულადობის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:
 - < 70,000 - თვეში არაუმეტეს 106 ლარი;
 - <200,000 - თვეში არაუმეტეს 20 ლარი.
2. **სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება** - გაიცემა ოჯახზე. ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის, 70,000 ნაკლები ქულით და 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი ბავშვით, თითოეული ბავშვისთვის თვეში 50 ლარის გაცემას.
3. **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება** - ხანდაზმულებს არ ეხება.
4. **100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება** - ითვალისწინებს წელიწადში 1000 ლარის გაცემას (2019 წელს თბილისში 38 მოსარგებლე).
5. **სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და მოსავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსება** - ხანდაზმულებს არ ეხება.
6. **სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება** - ხანდაზმულებს არ ეხება.
7. **სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე სწავლების დაფინანსება** - ხანდაზმულებს არ ეხება.
8. **სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება** - ხანდაზმულებს შეუძლიათ ისარგებლონ პროგრამით. ითვალისწინებს უკონტაქტო პლასტიკური ბარათების გაცემას მეტროთი და ავტოტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი საფასურით სარგებლობისათვის, ასევე უფასო სასადილოების მომსახურების მისაღებად. მოსარგებლე ხანდაზმულთა რაოდენობა უცნობია.

9. **სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები** - ხანდაზმულებს შეუძლიათ ისარგებლონ პროგრამით. ითვალისწინებს უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების იმ სამედიცინო და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსებას, რომელთა თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან აღემატება 1000 ლარს. დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია პირის კატეგორიაზე პრიორიტეტების ჯგუფში, ასევე მის სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. 2018 წელს ისარგებლა 6442 ხანდაზმულმა.
10. **ომის ვეტერანთა დახმარება** - ქვეპროგრამა ითვალისწინებს 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის 600 ლარის, ხოლო ამ ომში მარჩენალდაკარგულებისთვის 300 ლარის ოდენობით. 2018 წელს ისარგებლა 292 ხანდაზმულმა.
11. **მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა** - ითვალისწინებს „საქართველოს წითელი ჯვრის 40-45 მოსარგებლეზე გათვლილი დღის ცენტრის კომუნალური გადასახადების დაფინანსებას. ცენტრის საქმიანობა მოიცავს შემდეგს:
- დღის განმავლობაში სხვადასხვა საგანმანათლებლო, გასართობ პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;
 - ჰიგიენური პროცედურების ჩატარება;
 - სხვადასხვა ჯგუფების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ჩართვა, როგორცაა: ქსოვის, კერვის, ქარგვის, ცეკვის, სიმღერის, თიხაზე მუშაობის, ლიტერატურის და ა.შ. ჯგუფები;
 - სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება;
 - ექსკურსიების მოწყობა.
12. **თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა** - 2018 წელს 75 ხანდაზმულმა ისარგებლა პროგრამით. ითვალისწინებს მიუსაფარ პირთა თავშესაფრით, პირველადი სამედიცინო მომსახურებით და საჭიროებებით, მათ შორის, საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფას.
13. **სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება** - ხანდაზმულებს არ ეხება.
14. **„ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება** - ხანდაზმულებს არ ეხება.
15. **სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება** - 2018 წელს ისარგებლა 364 ხანდაზმულმა ისარგებლა პროგრამით. ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის და 150,000 ქულაზე ნაკლების მქონე პირების ფინანსურ დახმარებას წელიწადში 900 ლარის ოდენობით.

16. სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება - ხანდაზმულებს არ ეხება.

17. შინმოვლის თანადაფინანსება - 2018 წელს 868 ხანდაზმულმა ისარგებლა პროგრამით. ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული პირების შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფას. მოიცავს მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის, პერსონალური მოვლის, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარების, მისი და მისი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით კომპლექსური მოვლის განხორციელებას მრავალდარგობრივი გუნდის მიერ.

18. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა - ხანდაზმულებს შეუძლიათ ირიბად ისარგებლონ პროგრამით. ითვალისწინებს შშმ პირთა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსებას, შშმ პირთა სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფას. მოიცავს შემდეგს:

- კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა;
- სხვა საჭიროებების უზრუნველყოფა.

დასკვნა

როგორც სახელმწიფო, ასევე თბილისის მუნიციპალურ პროგრამებში ხანდაზმულთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებები მეტად მწირად და ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი, მეტადრე, სოციალური მომსახურებების თვალსაზრისით. არსებითად, საკუთრივ ხანდაზმულებისთვის განსაზღვრულია ასაკობრივი ე. წ. პენსია და რამდენიმე პროგრამა/ქვეპროგრამა, რომლებიც ვერც მასშტაბით (დაფარვით), ვერც პაკეტით და ვერც ხარისხით (მონიტორინგების შედეგების მიხედვით) საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულების ცხოვრების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენენ. კვლავ დონორებზე ორიენტაცია და არაადეკვატური დაფინანსება (მაგ., დღის ცენტრის - ნომინალური ღირებულების 30%, თბილისის შინმოვლის - 10-15%) წარმატებული მოდელების გაქრობის და სუროგატული საქმიანობის საფრთხეს შეიცავს. პრაქტიკულად განუვითარებელია ხანგრძლივი მოვლის მომსახურებები, ზოგიერთი მზარდი და მწვავე პრობლემა (მაგ., ფიზიკური უძლურება, დემენცია, დეპრესია...) პრაქტიკულად უპასუხოდ რჩება, მეტადრე, ჯანდაცვის სექტორის კომერციალიზაციის, ეიჯიზმის, ბიოსამედიცინო და მკურნალობითი მიდგომის ფონზე. მოსახლეობის 20%-ის საჭიროებები სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებში ადეკვატურად ასახული არ არის.

რეკომენდაციები

ხანდაზმულთათვის განკუთვნილი სერვისების ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში ინტეგრირების მიზნით, უახლოეს მომავალში მიღებული უნდა იქნეს დაბერების რეალისტური სამთავრობო სამოქმედო გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხანდაზმულთათვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირებას (Age friendly cities ქსელის გამოცდილების მიხედვით) და ხანდაზმულებზე ზრუნვის იაფი და ეფექტური მოდელების განვითარებას (მაგ., შინმოვლა, დღის ცენტრი, სხვადასხვა პროფილის მოვლის დაწესებულებები...). საჭიროა გადაწყვეტილების მიმღები პირების და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა დაბერების გლობალური დემოგრაფიული ტენდენცია, აქტიური და ჯანმრთელი დაბერება, ხანდაზმულთა საჭიროებები, ხანდაზმულთა როლი საზოგადოებაში, დაბერების პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში, ბიოფსიქოსოციალური მიდგომა და ინტეგრირებული ზრუნვა.

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები

#	პროგრამა/ქვეპროგრამა	ხანდაზმულები - (ერთ-ერთი) მიზნობრივი ჯგუფი	ხანდაზმულებს შეუძლიათ სარგებლობა	შეუსაბამო	შენიშვნა
ა	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა	X	X		კომპონენტის მიხედვით
ბ	C ჰეპატიტის მართვა		X		
გ	ვერტიკალური პროგრამები:				
1	დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი		X		გეოგრაფიული და ნოზოლოგიური შეზღუდვებით
2	იმუნიზაცია		X		
3	ეპიდზედამხედველობა			X	
4	უსაფრთხო სისხლი			X	
5	საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობა			X	
6	ტუბერკულოზის მართვა		X		
7	აივ-ინფექციის/შიდსის მართვა		X		
8	დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა			X	
9	ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა		X		
10	ჯანმრთელობის ხელშეწყობა			X	
11	ფსიქიკური ჯანმრთელობა		X		შეზღუდულია კრიზისული ინტერვენცია >65
12	დიაბეტის მართვა		X		ნოზოლოგიური შეზღუდვებით
13	ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება			X	
14	ღიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია		X		
15	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა	X			იხ. ტექსტი

16	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა		X		ნოზოლოგიური შეზღუდვებით
17	სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება		X		
18	სოფლის ექიმი		X		
19	რეფერალური მომსახურება		X		
20	სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება			X	
21	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	X			იხ. ტექსტი

სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამები

#	პროგრამა/ქვეპროგრამა	ხანდაზმულები - (ერთ-ერთი) მიზნობრივი ჯგუფი	ხანდაზმულებს შეუძლიათ სარგებლობა	შეუსაბამო	შენიშვნა
1	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა			X	
2	ბავშვთა აღრული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა			X	
3	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა			X	
4	ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა		X		
5	დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა		X		
6	დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	X			
7	ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა		X		
8	დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა			X	
9	მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა			X	
10	მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა			X	
11	მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა			X	
12	სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	X			
13	განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა			X	

14	მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა			X	
----	--	--	--	---	--

სახელმწიფო გასაცემლები

#	პროგრამა/ქვეპროგრამა	ხანდაზმულები - (ერთ-ერთი) მიზნობრივი ჯგუფი	ხანდაზმულებს შეუძლიათ სარგებლობა	შეუსაბამო	შენიშვნა
1	სახელმწიფო პენსია	X			
2	სახელმწიფო კომპენსაცია		X		
3	საყოფაცხოვრებო სუბსიდია	X			
4	ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)		X		ენიშნება ოჯახს
5	სოციალური პაკეტი	X			
6	ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება			X	

თბილისის მერიის ჯანდაცვის პროგრამები

#	პროგრამა/ქვეპროგრამა	ხანდაზმულები - (ერთ-ერთი) მიზნობრივი ჯგუფი	ხანდაზმულებს შეუძლიათ სარგებლობა	შეუსაბამო	შენიშვნა
1	დაავადებათა სკრინინგი	X	X		ასაკობრივი შეზღუდვით, ნოზოლოგიების მიხედვით
2	გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი			X	
3	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა			X	
4	„C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა		X		
5	ტრანსპლანტაცია		X		
6	ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება		X		
7	ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება		X		

თბილისის მერიის სოციალური დაცვის პროგრამები

#	პროგრამა/ქვეპროგრამა	ხანდაზმულები - (ერთ-ერთი) მიზნობრივი ჯგუფი	ხანდაზმულებს შეუძლიათ სარგებლობა	შეუსაბამო	შენიშვნა
1	კომუნალური სუბსიდირება				
2	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება				
3	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება			X	
4	100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება	X			>100 ლ.
5	სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსება			X	
6	სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება			X	
7	სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე სწავლების დაფინანსება			X	
8	სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)		X		
9	სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები		X		
10	ომის ვეტერანთა დახმარება				

11	მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა	X			კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება თვეში არაუმეტეს 700 ლარით
12	თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა		X		
13	სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება			X	
14	„ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება			X	
15	სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება		X		
16	სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება			X	
17	შინმოვლის თანადაფინანსება		X		თანადაფინანსება 10-15%-ით
18	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა		X		